პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზს მიენიჭოს ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ს.ს.ი.პ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "რუსთავი"

LEPL STATE ACADEMIC ENSEMBLE "RUSTAVI" OF
GEORGIAN FOLK SONG AND DANCE

N 26
26/04/2021

26-1-2-202104261640

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს

ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

მოგახსენებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 25 აპრილის №61.01181151 ბრძანების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ ,, რუსთავს" (შემდგომში ,,ანსამბლი რუსთავი") უსასყიდლო სარგებლობის უფლებით მფლობელობაში გადაეცა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #103 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.08.005.055).

,,ანსამბლ რუსთავი"-ს მხრიდან, 2019 წლის 29 ოქტომბერს გამოცხადებული ტენდერის (სატენდ. განცხად. რეგ. ნომერი NAT 190020634) შედეგად გამაგრდა, სრულად რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო ანსამბლ რუსთავის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #103 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.08.005.055), მათ შორის სრულად გარემონტდა და განათება-გახმოვანების თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა უძრავ ქონებაში განთავსებული საკონცერტო დარბაზი, რომელიც სამომავლოდ აქტიურად მოემსახურება ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციასა და განვითარებას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის აპრილის თვეში გარდაიცვალა ,,ანსამბლ რუსთავი"-ს დამფუძნებელი, ქართული ფოლკლორისა და კულტურის მოამაგე, ღვაწლმოსილი ადამიანი - ბატონი ანზორ ერქომაიშვილი.

,, ,,ანსამბლი რუსთავი" ანზორ ერქომაიშვილის სახელის უკვდავსაყოფად გამოთქვამს სურვილს, რომ ზემოთ აღნიშნულ საკონცერტო დარბაზს ანზორ ერქომაიშვილის სახელი ეწოდოს, რაც ანსამბლ რუსთავის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 07 მარტის # 47/ნ ბრძანების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, ,,ვ" ქვეპუნქტის თანახამად საჭიროებს მაკონტროლებელის -საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობას.

(+995 32) 2 23 64 66
დ. აღმაშენებლის გამზ. 103
0102 თბილისი, საქართველო
ს.კ / ID 216297433
info@ensemblerustavi.com
www.ensemblerustavi.com

ამდენად, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, ,,ანსამბლ რუსთავს“ დართოთ ნება, რომ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. #103-ში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.08.005.055) განთავსებულ საკონცერტო დარბაზს ეწოდოს ,, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზი“.

პატივისცემით,

გიორგი ნატროშვილი

სამხატვრო ხელმძღვანელი
ხელმძღვანელობა

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტრო

Ministry of Culture,
Sport and Youth
of Georgia

0108 ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4. ცხელი ხაზი: (+99532) 2-200-220
#4 Sanapiro str., Tbilisi 0108, Georgia. Hotline: (+99532) 2-200-220
www.mcs.gov.ge

№ 00004227

29/04/2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შემოსულია სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ,, რუსთავი" წერილი (N26 26.04.2021 წ, იხ.სანართი), რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის განზირის N103-ში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.13.08.005.055) განთავსებული საკონცერტო დარბაზისთვის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ფოლკლორისტის და ლოტბარის, ანსამბლ „რუსთავის" დამაარსებლის ბატონ ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების საკითხს.

თავის მხრივ, სამინისტრო მიესალმება სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი" ამ ინიციატივას და გთხოვთ, აღნიშნული საკითხი განიხილოთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში. გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 25 აპრილის ბ61.01181151 ბრძანების საფუძველზე, (შემდგომში ,,ანსამბლი რუსთავი") უსასყიდლო სარგებლობის უფლებით მფლობელობაში გადაეცა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის N103 მდებარე შენობა-ნაგებობა, რომელშიც ამჟამად განთავსებულია ანსამბლი „რუსთავი" .

პატივისცემით,

დანართი, 1 დოკუმენტი.

კახა სიხარულიძე
მინისტრის პირველი მოადგილე

ანზორ ერქომაიშვილი

(1940- 2021)

ქართველი მუსიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნების მუშაკი, საგუნდო დირიჟორი, ხალხური სიმღერების შემკრები. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე

დაიბადა დავით ერქომაიშვილისა და ეთერ გორდელაძის ოჯახში. არის თვითნასწავლი მომღერლის, არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილი. არტემისვე რჩევით მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება, ჩააბარა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც 1969 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო გურული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების გადატანა ნოტებზე. კონსერვატორიაში დააარსა ამ სიმღერების შემსწავლელი ვოკალური ანსამბლი „გორდელა“.

1968 წლიდან არის ვოკალურ ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი. ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ იყო საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1972–1975 წლებში იყო რუსთავის სამუსიკო სკოლის დირექტორი. გამოცემული აქვს მის მიერვე ჩაწერილი და გაშიფრული 7 ქართული (გურული) ხალხური სიმღერა, გამოსაცემად მოამზადა კრებული „გურული ხალხური სიმღერები“.

2001 წელს მისი ინიციატივით და იუნესკოს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, მომზადდა და გამოიცა (2006) საუკუნის ანთოლოგიის (1901–2001), ერთი ნაწილი (1901–1914), რომელშიც შედის ქართული ხალხური სიმღერებისა და საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები;

2014 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით .

ავტორია წიგნებისა „ხმა უცნაური“, „ბაბუა“, „შავი შაშვი ჩიოდა“.

გარდაიცვალა 2021 წლის 31 მარტს.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.